საქმე # 010332222900144205

საქართველოს უზენაესი სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსკ- 01-22 **18 აპრილი, 2022 წელი,**
№სსკ-01-22 გ **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე/მომხსენებელი: მერაბ გაბინაშვილი
მოსამართლეები: მამუკა ვასაძე, ვლადიმერ კაკაბაძე

სხდომის მდივანი - ნანა თხელიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვა

საჩივრის ავტორი - ს. გ

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები - ნ. მ, დ. ა

გასაჩივრებული განკარგულება – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის სხდომი ოქმი და 7 მარტის №1--- განკარგულება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის სხდომის ოქმის გაუქმება და 2022 წლის 7 მარტის №1--- განკარგულების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. გასაჩივრებული განკარგულების შინაარსი:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2021 წლის 5 აგვისტოს №1/148 განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში.

1.2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ს. გ–მა.

1.3. აღნიშნული კონკურსის საფუძველზე, საბჭოს 2022 წლის 7 მარტის №1--- განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ს. გ–ს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლედ განწესებაზე უარი ეთქვა.

2. საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

ვინაიდან ს. გ–ს უარი ეთქვა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მოსამართლის, დმანისის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრი მოსამართლის, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ახმეტის მუნიციპალიტეტში თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრი მოსამართლის, სიღნაღის რაიონული მოსამართლის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრი მოსამართლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდო განწესებაზე, მან 2022 წლის 31 მარტს საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას (შემდგომში - პალატა) და მოითხოვა, მის ნაწილში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 მარტის სხდომის ოქმის გაუქმება, აღნიშნული საფუძვლით 2022 წლის 7 მარტის №1--- განკარგულების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის, ვინაიდან ა) კონკურსის ჩატარებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები იყვნენ მიკერძოებულნი, ბ) კონკურსის ჩატარებისას მის მიმართ საბჭოს წევრების მიდგომა იყო დისკრიმინაციული, გ) კონკურსი საქრთველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევით ჩატარდა.

2.1. საბჭოს ფუნქციონირების უკანონობის შესახებ:

2.1.1. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შდგება 15 - წევრისაგან. დღეს საბჭოს შემადგენლობაშია 10 წევრი, კანონით გათვალისწინებული 5 წევრით ნაკლები, შესაბამისად, საბჭოს ფუნქციონირება უკანონოა, რამაც პირდაპირ გავლენა მოახდინა მის მოსამართლედ არ განწესებაზე. ვინაიდან გასაუბრების დროს კანონი კანდიდატს აძლევს უფლებას აცილება დააყენოს საბჭოს იმ წევრების მიმართ, რომლებიც არიან მიკერძოებული, მაგრამ მან ვერ ისარგებლა ამ უფლებით, რადგან ასეთი შუამდგომლობის დაყენება და მისი დაკმაყოფილება ნიშნავდა, რომ იგი თვითონ ამბობდა უარს მოსამართლეობაზე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კანდიდატი მოსამართლედ დაინიშნება თუ მის კანდიდატურას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3, ე.ი 10 წევრი, საბჭოს 2 წევრის აცილების შემთხვევაში კი - 10 წევრიდან დარჩებოდა 8 წევრი, რა შემთხვევაშიც ხმათა რაოდენობა არ იქნებოდა საკმარისი კანდიდატის დასანიშნად. 15 - წევრიანი საბჭოს პირობებში კი, იგი ისარგებლებდა ორი მიკერძოებული საბჭოს წევრის მიმართ აცილების უფლებით, აღნიშნული უფლების გამოუყენებლობამ კი დაარღვია მისი ფუნდამენტური უფლება.

2.2. საბჭოს წევრთა მიკერძოების შესახებ:

საბჭოს ორმა მიკერძოებულმა წევრმა გავლენა მოახდინა საბჭოს სხვა წევრებზე და კენჭისყრისას მოსამართლეობის კანდიდატმა ვერ მიიღო ვერცერთი ხმა. საბჭოს ყველა წევრმა შეფასების ფურცელში ჩაწერა, რომ კანდიდატი იყო კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და იგი სრულად აკმაყოფილებდა მოსამართლის კრიტერიუმებს, რის შემდეგაც საბჭოს არცერთმა წევრმა საჩივრის ავტორს ხმა არ მისცა, რაც მიკერძოების კლასიკური მაგალითია. უსამართლოდ უპირატესობა მიენიჭათ და მოსამართლედ განწესდნენ ის კანდიდატები რომლებმაც, საბჭოს წევრების შეფასებით, ს. გ–ზე ნაკლები ქულები დააგროვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსი წარიმართა ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევით.

2.3. მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ:

საბჭოს წევრების მხრიდან კანდიდატის მიმართ ადგილი ჰქონდა შეხედულების გამო განსხვავებულ მიდგომას, ვინაიდან განსხვავებული და საბჭოს წევრებისათვის

მიუღებელი შეხედულება გამოთქვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, კერძოდ: მიაჩნია, რომ აღნიშნული ინსტიტუტის შემოღება იყო ნაადრევი, რადგან ამ ეტაპზე საზოგადოება არ არის მზად, ისაუბრა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებებზე - დაზარალებულებს საბჭოთა კავშირის დროს კანონით უფრო მეტი უფლებები ჰქონდა ვიდრე დღეს. გამოთქვა მოსაზრება სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, რამაც მის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა განაპირობა.

2.4. პროცედურის სხვა არსებითი დარღვევების შესახებ:

2.4.1 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის თანახმად, კონკურსი ტარდება გასაუბრების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, კონკურსი 2022 წლის 1 მარტამდე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ 7 მარტს დაინიშნა ვადის გადაცილებით, ვადის გადაცილების საპატიო მიზეზს კი კანონი არ ითვალისწინებს.

2.4.2 საბჭოს წევრების მხრიდან დაირღვა კენჭისყრის პროცედურა, კანონის თანახმად, კენჭისყრა ტარდება თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში კონკურსი გამოცხადებული იყო მოსამართლის ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე. კენჭისყრა ჩატარდა 2 ვაკანსიაზე, როგორც კენჭისყრის სხდომის ოქმის ამონაწერიდან ირკვევა, ვინაიდან მეორე ვაკანსიაზე ვერც ერთმა კანდიდატმა ხმათა მინიმალური რაოდენობა ვერ მიიღო, დარჩენილ 2 ვაკანსიაზე კენჭისყრა აღარ ჩატარდა.

3. საბჭოს პოზიცია:

საბჭოს წარმომადგენლებმა საჩივარი არ ცნეს და მოითხოვეს ს. გ–ის ნაწილში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის სხდომის ოქმისა და ამავე წლის 7 მარტის №1--- განკარგულების უცვლელად დატოვება. საკუთარი პოზიცია შემდეგნაირად დაასაბუთეს:

3.1. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საჭოს - როგორც კოლეგიური ორგანოს უფლებამოსილების საკითხი, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს კი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლი ადგენს, რომლის მიხედვით საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, ზოგიერთი გადაწყვეტილების მისაღებად უბრალო უმრავლესობაც კი საკმარისია, რაც მოცემულ შემთხვევაში - 5 ხმას მოიცავდა. შესაბამისად, საბჭოს ლეგიტიმაციის საკითხი ვერ დადგება ეჭქვეშ. კანდიდატი აბსტრაქტულად საუბრობს საბჭოს ორ მიკერძოებულ წევრზე, რომლის მიმართაც მას ჰქონდა აცილების შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობა, თუმცა ვინ არის ეს ორი წევრი და რაში

გამოიხატებოდა მათი აცილების სამართლებრივი საფუძველი გაუგებარია, ასევე გაუგებარია - რატომ არ იქნა საბჭოს წინაშე დაყენებული აცილების შესახებ შუამდგომლობა.

3.2. დისკრიმინაციის ნაწილში საჩივრის ავტორმა უნდა მიუთითოს ფაქტები, რომელიც ქმნის მის მიმართ დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდს და ამის შემდეგ ხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება. ის, რომ კანდიდატმა მინიმალური ზღვარი გადალახა, არ ბოჭავს საბჭოს წევრს, კენჭისყრის ეტაპზე დაუჭიროს ან არ დაუჭიროს მხარი კანდიდატს, შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ კანდიდატმა გადალახა ზღვარი და შემდგომ არ განწესდა მოსამართლედ, არ ქმნის მის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის გონივრულ ვარაუდს.

3.3. პროცედურის დარღვევას რაც შეეხება, კერძოდ; კენჭისყრის ვადის გადაცილებას, ნამდვილად დაირღვა პროცედურის ნაწილი, თუმცა ვადის გადაცილებას არ შეეძლო, ემოქმედა მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგზე, შესაბამისად, ეს არგუმენტი ვერ გახდება განკარგულების გაუქმების საფუძველი. საჩივრის ავტორის აპელირებას იმასთან დაკავშირებით, რომ 4 ვაკანტური ადგილიდან ორ ვაკანტურ ადგილზე კენჭისყრა არ გაიმართა რაც პროცედურის დარღვევაა სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, ვინაიდან იყო 4 ვაკანტური ადგილი, პირველი ვაკანტური ადგილი შეივსო, მეორე ვაკანტურ ადგილზე ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ვერცერთი ხმა, შესაბამისად, საბჭომ კანდიდატებს რომლებმაც ვერ მიიღეს ვერცერთი ხმა, აღარ უყარა კენჭი დანარჩენ ორ ვაკანტურ ადგილზე. რაც შეეხება სხვა რაიონულ თუ საქალაქო სასამართლოებს, იყო განსხვავებული შემთხვევა პირველ ტურში, ანუ კენჭისყრის ეტაპზე, ერთმა კანდიდატმა მაინც მიიღო ერთი ან ორი ხმა, რის შემდეგაც საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატებს კენჭი ეყარათ, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი გამორიცხავს კანდიდატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას და სხვა კანადიდატებს შორის არ იყო ერთგვაროვანი მიდგომა.

3.4. საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული, კონკრეტულ ნორმაზე დაფუძნებული, არგუმენტირებული მსჯელობა, ს გ–ი მიუთითებს მხოლოდ თავის სუბიექტურ წარმოდგენებსა და შეხედულებებზე, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

4. საჩივრის დასაშვებობის საკითხი:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36^5 მუხლის 1-ლი

პუნქტის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, თანამდებობაზე მის უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ:

ა) შეფასებისას შემფასებელი/გასაუბრებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (წევრები) მიკერძოებული იყო (იყვნენ);

ბ)შეფასებისას შემფასებელი/გასაუბრებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (წევრების) მიდგომა დისკრიმინაციული იყო (იყვნენ);

გ) შემფასებელმა გადაამეტა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა შესაფასებელი მოსამართლის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო შეფასებას, არსებითად მცდარია, რის დამადასტურებლადაც შესაფასებელმა მოსამართლემ შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა;

ე) შეფასება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით განხორციელდა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

4.2. საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, რომ ს გ–მა საკუთარი მოთხოვნები, ფაქტობრივად, დააფუძნა ორგანული კანონის 36[5] მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებს, მიუთითა რა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა შედგება 15 წევრისაგან, ამჟამად კი საბჭოს შემადგენლობაშია 10 წევრი, კანონით გათვალისწინებულზე 5 წევრით ნაკლები, აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს ფუნქციონირება უკანონოა, მის მიმართ წევრები იყვნენ რა მიკერძოებული და სხვა კანდიდატებთან შედარებით, განსხვავებულ მდგომარეობაში ჩააყენეს მომჩივანი, არსებითად დაარღვიეს პროცედურის მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ: კონკურსი ტარდება გასაუბრების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მოცემულ შემთხვევაში კი ჩატარდა ვადის დარღვევით, გასაუბრების დასრულებიდან მე-17 დღეს. დაირღვა კენჭისყრის პროცედურაც, კენჭისყრა ტარდება თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში კონკურსი გამოცხადებული იყო მოსამართლის ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე, კენჭისყრა ჩატარდა ორ ვაკანსიაზე. მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გამო საბჭოს წევრების მიდგომა იყო დისკრიმინაციული.

4.3. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი აკმაყოფილებდა ორგანული კანონით განსაზღვრულ დასაშვებობის მოთხოვნებს და არსებითად განიხილა იგი.

5. საჩივრის არსებითი განხილვა:

პალატამ, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, დაასკვნა, რომ ს გ–ის ნაწილში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის სხდომის ოქმისა და 2022 წლის 7 მარტის №1--- განკარგულების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. პალატამ ცალ-ცალკე იმსჯელა მომჩივნის მიერ წარმოდგენილ საფუძვლებთან დაკავშირებით.

5.1.1 საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია, რომ საბჭოს შემადგენლობა შედგება 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაგან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ორაგნული კანონი განსაზღვრავს იუსტიციის საბჭოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესს და ადგენს, რომ საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. ორგანული კანონის არც აღნიშნულ და არც სხვა ნორმაში არსად არის გათვალისწინებული შემდეგი გარემოება: თუ საბჭოს შემადგენლობაში გათვალისწინებულზე 5-ით ნაკლები წევრია მისი ფუნქციონირება უკანონოა. ამდენად, იუსტიციის საბჭოს ფუნქციონირების უკანონობის შესახებ მომჩივნის მოსაზრება არის უსაფუძვლო და ვერ იქნება გაზიარებული.

5.1.2 პალატა ვერ გაიზიარებს მომჩივნის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან ვერ ისარგებლა კანონით გათვალისწინებული უფლებით, აცილება დაეყენებინა საბჭოს მიკერძოებულ წევრების მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35^3 მუხლის პირველი ქვეპუნქტი ითვალისწინებს საბჭოს წევრის მიმართ აცილების შუამდგომლობის დაყენების უფლებას, კერძოდ; მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის დროს მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება, თუ არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას. ს გ–ს არ გამოუყენებია კანონით გათვალისწინებული უფლება - საბჭოს წინაშე მისი წევრების აცილების შესახებ შუამდგომლობა წარედგინა, ხოლო აპელირება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში თავად ამბობდა უარს მოსამართლედ განწესებაზე, ვინაიდან თუ კონკრეტული წევრები საბჭოს მიერ აცილებულ იქნებოდნენ საბჭოს აღარ ექნებოდა მოსამართლედ დანიშვნისათვის საჭირო ხმათა ოდენობა დაუსაბუთებელია,

აღნიშნული მხოლოდ ვარაუდს და სუბიექტურ მოსაზრებას ეფუძნება. დასახელებულ გარემოებებზე დაყრდნობით, პალატას მიაჩნია, რომ წინასწარ ვერ და არ შეიძლება განსაზღვრო, საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა აცილების შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში და დააკმაყოფილებდა თუ არა მას. ამრიგად, საჩივრის ავტორის ზემაღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოა.

5.2 ***საბჭოს წევრთა მიკერძოების შესახებ***:

5.2.1 ს გ–ის განცხადება, რომ საბჭოს ორი მიკერძოებული წევრის მიერ საბჭოს სხვა წევრებზე ზეგავლენის გამო, კენჭისყრისას მან ვერ მიიღო ვერცერთი ხმა, მაშინ, როდესაც საბჭოს ყველა წევრმა შეფასების ფურცელში ჩაწერა, რომ კანდიდატი იყო კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და იგი სრულად აკმაყოფილებდა მოსამართლის კრიტერიუმებს, რაც წარმოადგენდა მის მიმართ მიკერძოების ფაქტს, ალოგიკურია, ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით 36[4] მუხლის მე-19 ქვეპუნქტით შესაბამისად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას სამი ან სამზე მეტი შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს მოსამართლესთან გასაუბრებას და ისმენს მის მოსაზრებას შეფასების შედეგების შესახებ. აღნიშნული მუხლის მე-20 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, ამ კანონის 36-ე მუხლის 4[1] პუნქტით დადგენილი წესით მსჯელობს და სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ღია კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესების შესახებ. თუ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მითითებული მოცემულობა არამც და არამც არ ნიშნავს კანდიდატის უპირობოდ მოსამართლედ განწესებას, არამედ საბჭოს წევრთა შეფასებები ერთ-ერთი საფეხურია კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, კერძოდ, კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ კენჭისყრაზე კონკურსანტის კანდიდატურის დასაყენებლად. შესაბამისად აღნიშნულ გარემოებაზე აპელირება ცალსახად უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული.

5.2.2 სასამართლო ვერ გაიზარებს მომჩივანის მოსაზრებას იმი შესახებ, რომ

კონკურსი ჩატარდა ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევით, ვინაიდან უპირატესობა მიენიჭათ და მოსამართლედ განწესდნენ ის კანდიდატები, რომლებმაც საბჭოს წევრების შეფასებით ს გ–ზე ნაკლები ქულები დააგროვეს, კანდიდატი, რომელმაც ს გ–ზე ნაკლები ქულა დააგროვა არ განწესებულა მოსამართლედ, უფრო მეტიც, ვინც საჩივრის ავტორზე მეტი ქულა დააგროვა და კანდიდატთა სიაში მის წინ იყვნენ, კერძოდ მე-9 და მე-8 ადგილზე, ისინიც კი არ იქნენ მოსამართლედ განწესებული, ამდენად მიკერძოების შესახებ საჩივრის ავტორის მტკიცება უსაფუძვლოა.

5.2.3 აღნიშნული მსჯელობიდან და საქმის მასალების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, არ დგინდება საბჭოს წევრთა მიკერძოებული მიდგომა კანდიდატთა მიმართ უპირატესობის მინიჭების გზით: მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანდიდატმა შეფასებისას დააკმაყოფილა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმი და კენჭისყრისას ვერ მიიღო მოსამართლედ განწესებისათვის ხმათა საჭირო რაოდენობა, ვერ დაადასტურებს საბჭოს წევრთა მიკერძოებას. მომჩივანს კი არ განუხორციელებია მიკერძოების რეალურად დამადასტურებელი გარემოებების არსებობის შესახებ არგუმენტირებული მტკიცება, არ წარმოუდგენია მტკიცებულებები ამ გარემოებათა დასადასტურებლად, რის გამოც პალატა ვერც ამ ნაწილში მიიჩნევს მომჩივნის მოსაზრებებს დასაბუთებულად.

5.3 მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ:

5.3.1 ს გ–მა განაცხადა, რომ მოსამართლედ მის განწესებაზე უარი გამოწვეული იყო საბჭოს წევრებისათვის მის მიერ მიუღებელი შეხედულების გამოთქმის გამო, კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, სექსუალურ უმცირესობებზე და სასამართლოებში საქმეთა სიმრავლის გამო განხილვის გაჭიანურების თაობაზე, რამაც გამოიწვია მის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა.

5.3.2. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა, პირობების შექმნა ან პრაქტიკა, რომელიც პირს გარკვეული ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, თუ ამგვარი ქმედება არ ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები არათანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

5.3.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, განსხვავებული

მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება, ანუ, თუ არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის (მაგალითად, იხ: Mizzi v. Malta, №26111/02; Petrovic v. Austria, №20458/92 და ა.შ.).

5.3.4. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს: დაცული სფერო - უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი - ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ დაცულ სფეროს.

5.3.5. რაც შეეხება მტკიცების ტვირთის განაწილებას:

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მას შემდეგ, რაც მომჩივანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ (მაგალითისათვის, იხ: Chassagnou and Others v. France [GC], №25088/94, №28331/95);

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3] მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

5.3.6. საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ გასაუბრებისას რაიმე დამოკიდებულება, რაც იმ მომენტში მის მიმართ უარყოფით ემოციზე, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს არ გამოუხატავთ, თუმცა შედეგი რომელიც დადაგა, რომ იგი არ განწესდა მოსამართლედ განსხვავებული აზრისადმი მიუღებლობასა და დისკრიმინაციის მოპყრობას ადასტურებს.

5.3.7. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მომჩივანმა ვერ წარადგინა და ვერ დაამტკიცა ვერცერთი ფაქტი, რომელიც მის მიმართ რაიმე სახით დისკრიმინაციულ მიდგომას დაადასტურებდა, შესაბამისად, პალატის მიერ ვერ იქნება გაზიარებული მომჩივნის მოსაზრება, რომ მისი მოსამართლედ არ დანიშვნა განპირობებულია განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის გამო.

5.4 *პროცედურის სხვა არსებითი დარღვევების შესახებ*:

5.4.1. ს გ–მა, პროცედურის სხვა არსებითი დარღვევების არსებობის დასადასტურებლად, განაცხადა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35-ე მუხლის თანახმად, კონკურსი ტარდება გასაუბრების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე,

კონკურსი 2022 წლის 1 მარტამდე უნდა ჩატარებულიყო, ჩატარდა 7 მარტს ვადის გადაცილებით, ვადის გადაცილების საპატიო მიზეზს კი კანონი არ ითვალისწინებს. დაირღვა კენჭისყრის პროცედურაც კანონის თანახმად, კენჭი ეყრება კანდიდატს თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში კონკურსი გამოცხადებული იყო მოსამართლის ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე. კენჭისყრა ჩატარდა 2 ვაკანსიაზე.

5.4.2 პალატა ვერ გაიზიარებს მომჩივნის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მითითებული გარემოება იუსტიციის საბჭოს განკარგულების გაუქმების საფუძველია, ვინაიდან ორგანული კანონი ცალსახად ადგენს, რომ პროცედურის დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს განკარგულების გაუქმების საფუძველი, თუ იგი არსებითად იმოქმედებდა საბოლოო შედეგზე. ს გ–ის მხრიდან აპელირება პროცედურულ დარღვევებზე, რაც გამოიხატა ვადის გადაცილებით კენჭიყრის ჩატარებაში, რა დროსაც საბჭოს მიკერძოებულ პირებს შეეძლო გავლენა მოეხდინა დანარჩენ წევრებზე მის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენს მხოლოდ მის სუბიექტურ მოსაზრება. ასევე, 2 ვაკანსიაზე კენჭისყრის არ ჩატარებაზე აპელირება კონკრეტულ შემთხვევაში არარელევანტურია, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება ისეთი პროცედურული დარღვევების არსებობა რომელიც უცილობლად გამოიწვევდა გასაჩივრებული განკარგულებისაგან განხვავებული გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისად ამ ნაწილშიც უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მითითებები.

5.4.3 აღნიშნულიდან გამომდინარე, პროცედურის არსებითი დარღვევებით წარმართვის შესახებ მომჩივნის მტკიცება უსაფუძვლოა.

6.5. პალატის შემაჯამებელი დასკვნა:

6.5.1. ორგანული კანონის 36^6 მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, პალატა საქმის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) საბჭოს განკარგულების უცვლელად დატოვების თაობაზე; ან - ბ) საბჭოს განკარგულების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

6.5.2. საქმის განხილვის შედეგად, მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის, საბჭოს წევრთა მიუკერძოებლობის პრინციპისა და პროცედურის არსებითი დარღვევების გარემოებათა არსებობა არ დადასტურებულა; ამიტომ, ს გ–ის ნაწილში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის სხდომის ოქმის გაუქმების, 2022 წლის 7 მარტის №1--- განკარგულების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილვისათვის დაბრუნების შესახებ მომჩივნის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და ვერ დაკმაყოფილდება.

6.5.3. შესაბამისად, პალატამ, იხელმძღვანელა რა ორგანული კანონის $35^{3,}$ 36^5, 36^6, 35, და 36^3 მუხლებით, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოს გასაჩივრებული განკარგულების

უცვლელად დატოვების თაობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[6] მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ს გ–ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 მარტის სხდომი ოქმი და 7 მარტის №1--- განკარგულება;
3. საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **მერაბ გაბინაშვილი**

მოსამართლეები: **მამუკა ვასაძე**

ვლადიმერ კაკაბაძე